

საიდ. №78873/03

IR 1216610

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №160-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის დოჩირნიე პიდპრიემსტვო კონდიტერსკა კორპორატსია „როშენ“ (Dochirnie pidpriemstvo Kondyterska korporatsiia "Roshen") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №9-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2452/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KORIVKA ROSHEN“ (საიდ. N78873/03, IR 1216610) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (30-ე კლასი).

საექპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს №2452/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „KORIVKA ROSHEN” (ლათინური სტილიზებული შრიფტით შესრულებული + გამოსახულება) უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან მსგავსია კომპანიის „Joint-Stock Company "Krasnyj Ocyabr“ (მისამართი: ul. Malaya Krasnoselskaya, d. 7, str. 24, RU-107140 Moscow; RU) სახელზე 30-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნისა „КОРОВКА КОРОВКА” (სტილიზებული ლათინური შრიფტით და კირილიცაზე შესრულებული) (IR 844698, საერთაშორისო რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 2004-11-26). სარეგისტრაციოდ განცხადებულ ნიშანში „KORIVKA ROSHEN”, დომინანტ ელემენტს წარმოადგენს სიტყვიერი აღნიშვნა „KORIVKA”, ვინაიდან აღნიშნული ელემენტი წარმოადგენს ყვითელ ფონზე წითელი ასოებით შესრულებულ სიტყვიერ აღნიშვნას. ამასთან, სიტყვიერი ელემენტი „ROSHEN” და გამოსახულებითი ელემენტები ნიშანს არ სძენს დამატებით განმასხვავებლობას, ვინაიდან ნიშანში ძირითადი აქცენტი კეთდება სწორედ აღნიშვნაზე „KORIVKA”. სარეგისტრაციოდ განცხადებულ ნიშანში „KORIVKA ROSHEN” (+ გამოსახულება) არსებულ დომინანტ ელემენტს „KORIVKA” და დაპირისპირებულ ნიშანს „КОРОВКА КОРОВКА” შორის არსებობს, როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური მსგავსება. ნიშნები მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან რეგისტრირებული ნიშანი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „კაროვკა კაროვკა”, ხოლო განცხადებულ ნიშანში არსებული დომინანტი ელემენტი, როგორც - „კორივკა”. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. რაც შეეხება ვიზუალური კრიტერიუმით მსგავსებას, რეგისტრირებული ნიშანი წარმოადგენს 7-7 ლათინური შრიფტით და კირილიცაზე შესრულებულ სიტყვიერ ელემენტს „КОРОВКА КОРОВКА”, ხოლო სარეგისტრაციოდ განცხადებული ნიშნის დომინანტი ელემენტი „KORIVKA”,

წარმოადგენს ასევე 7 ლათინური ასოსგან შემდგარ სიტყვიერ აღნიშვნას, აღნიშნულ ელემენტებს შორის განსხვავებულია მხოლოდ მე-4 ასოები „O“ და „I“, რაც ასევე არ სძენს ნიშნებს დამატებით განმასხვავებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია დოჩირნიე პიდპრიემსტვო კონდიტერსკა კორპორაცია „როშენ“ (Dochirnie pidpriemstvo Kondyterska korporatsiia "Roshen") არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი „**KORIVKA**“ წარმოადგენს კირილიცაზე და ლათინური ანბანით შესრულებული დაპირისპირებული ნიშნის „**КОРОВКА КОРОВКА**“ სემანტიკურად იდენტურ უკრაინულ დასახელებას, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც „პატარა ძროხა“. ნიშანი „**КОРОВКА**“ წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი და პოპულარული კანფეტის დასახელებას, რომელიც მზადდებოდა სხვადასხვა რესპუბლიკების საკონდიტრო ფაბრიკებში. აქედან გამომდინარე, სრულიად შეუძლებელი იყო მისი იდენტიფიცირება რომელიმე მწარმოებელ კომპანიასთან, შესაბამისად, იგი გადაიქცა კვაზიგვარეობით დასახელებად და მისი, როგორც სასაქონლო ნიშნის მიკუთვნება რომელიმე კომპანიისათვის არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება დააზარალებდა იმ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ დასახელების კანფეტის მწარმოებელ სხვადასხვა საკონდიტრო ფაბრიკებს. სწორედ ეს ფაქტი წარმოადგენს ორივე - განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების რეგისტრაციის საფუძველს მონღოლეთში, ვინაიდან ამ ქვეყნის საპატენტო უწყებების მიერ გამოტანილი



უარყოფითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე

**КОРОВКА**

ადრინდელი პრიორიტეტის მქონე რეგისტრირებული ნიშნის **KOROVKA (IR 844698)** გამო, შეიცვალა რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილებით მას შემდეგ, რაც განმცხადებლის მიერ დისკლამაციის მოთხოვნით აღნიშვნა „KORIVKA“ ამოღებულ იქნა დაცვიდან. ის ფაქტი, რომ აღნიშვნა „КОРОВКА“ იქცა საქონლის თვისების აღნიშვნელ ტერმინად, წარმოადგენს ლატვიის

**КОРОВКА**

საპატენტო უწყების მიერ ნიშნის **KOROVKA IR 844698** რეგისტრაციაზე

უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველს, ვინაიდან უწყებამ ჩათვალა, რომ ნიშანი მისი გვარეობითობიდან გამომდინარე, არაგანმასხვავებელუნარიანია და შესაძლებელს ხდის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლის მიმართ. როგორც ცნობილია, მსგავსი სიტუაცია არსებობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში დამზადებული სამედიცინო პრეპარატების დასახელებებთან დაკავშირებითაც, როდესაც საქპატენტმა მიიღო სრულიად მართებული გადაწყვეტილება, განიხილა რა ისინი, როგორც მწარმოებლის მიმართ არაგანმასხვავებელუნარიანი კვაზიგვარეობითი დასახელებები და მათი გამოყენების უფლება სასაქონლო ნიშნის დაუცავ ნაწილად მიეცა ყველა მწარმოებელ კომპანიას. მოცემულ შემთხვევაში აპელანტი კომპანიის უფლებას, დაარეგისტროს სასაქონლო ნიშნად აღნიშვნა „KORIVKA“ მის მიერ გამოშვებული საკონდიტრო ნაწარმისათვის, ამყარებს ის ფაქტი, რომ კომპანია **დოჩირნე პიდპრიემსტვო "კონდიტერსკა კორპორაცია "როშენ"** წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედი იმ საკონდიტრო ფაბრიკების სამართალმემკვიდრესა და მფლობელს, რომლებიც აწარმოებდნენ სასაქონლო ნიშნით „КОРОВКА“ ნიშანდებულ საკონდიტრო ნაწარმს. ასეთი საკონდიტრო ფაბრიკები იყვნენ: კიევის კ. მარქსის სახელობის საკონდიტრო ფაბრიკა, ვინიცის საკონდიტრო ფაბრიკა, კრემენჩუკის საკონდიტრო ფაბრიკა, მარიუპოლის საკონდიტრო ფაბრიკა (ამჟამად დახურულია, ვინაიდან მდებარეობს საომარი

მოქმედებების ზონასთან ახლოს), რომლებიც ამჟამად შედიან კომპანიის **დოჩინე პიდპრიემსტვო "კონდიტერსკა კორპორაცია "როშენ"** შემადგენლობაში. გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია თავად ნიშნის „**KOPOBKA**“ წარმოშობის ისტორია და შემდგომ განვითარებული მოვლენები, რომლებმაც ზეგავლენა იქონია და შეცვალა ნიშნის „**KOPOBKA**“ სახეობა. დასახელება „**KOPOBKA**“ (პოლონურად *Krówka*) წარმოიშვა თხევადშიგთავსიანი ირისის კანფეტის შესახვევ ქალაქში დატანილი ძროხის გამოსახულებიდან, რომლის წარმოებაც 1920-იან წლებში დაიწყო პოზნანში ფელიქს პომორსკიმ. ამ კანფეტის რეცეპტი ფელიქს პომორსკიმ გაიგო ჟიტომირში (უკრაინა) მცხოვრები ბიძისაგან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ კანფეტის წარმოება დაიწყო სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებშიც - გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბელორუსში და აღნიშვნა „**KOPOBKA**“ სხვადასხვა ენაზე იქცა თხევადშიგთავსიანი ირისის დასახელებად, რის შედეგადაც მას გარკვეულწილად დაკარგული აქვს განმასხვავებლობა და ქცეულია თხევადშიგთავსიანი ირისის გვარეობით დასახელებლად, რაც კიდევ უფრო ამყარებს აპელანტის კუთვნილი ნიშნის რეგისტრაციის მართლზომიერებას, ვინაიდან მიუხედავად დასახელების



„**KORIVKA**“ არაგანმასხვავებელუნარიანობისა, ნიშანი მთლიანობაში დაცვადა, ვინაიდან წარმოადგენს კომბინირებულ სასქონლო ნიშანს (შეფუთვას). აპელანტის მითითებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ყვავილების ფონზე ორ ყვავილებიან სვეტს შორის მოთავსებულ ელიფსში ჩახატული ძროხის გამოსახულებას, რომლის ქვემოთ ლათინური ანბანით სარკისებურად შესრულებულია აღნიშვნები: „**KORIVKA**“, „**ROSHEN**“, ასევე, აღნიშვნის „**ROSHEN**“ ორ სარკისებრ გამოსახულებებს შორის მოთავსებული აღნიშვნა „**ROSHEN**“, მაშინ, როცა დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს კირილიცაზე და ლათინური ანბანით შესრულებულ სიტყვიერ ნიშანს „**KOPOBKA KOROVKA**“. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული

ნიშნები, ასევე, განსხვავებულია ფონეტიკურად: განცხადებული ნიშანი ქართულად წარმოითქმება, როგორც „კორივკა როშენ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი - „კოროვკა“. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნიშნები სრულიად განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად, რაც მინიმუმამდე ამცირებს სემანტიკური მსგავსების მნიშვნელობას და გამორიცხავს მომხმარებლის მიერ მათ აღრევას და შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებლისა და მომსახურების გამწვევი კომპანიის მიმართ. აღსანიშნავია, რომ აპელანტმა კომპანიამ დოქირნე პიდპრემსტვო ”კონდიტერსკა კორპორაცია ”როშენ“ განცხადებულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანში რამდენჯერმე დააფიქსირა კომპანიის დასახელება „ROSHEN“ და მოათავსა იგი ნიშნის ცენტრში, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აპელანტს არ აქვს არაკეთილსინდისიერი განზრახვა, დაარეგისტრიროს დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანიის კარგი რეპუტაციის მქონე მსგავსი ნიშანი და ნიშნის შემადგენლობაში კომპანიის სახელის დაფიქსირებით მომხმარებელს საშუალებას აძლევს, განასხვავოს მისი ნიშანი სხვა მწარმოებლების ნიშნებისაგან, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნის „KORIVKA“ განპირობებულია მწარმოებლის სურვილით ამცნოს მომხმარებელს, თუ რა ტიპის კანფეტია განთავსებული ამ შეფუთვაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2452/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KORIVKA ROSHEN“ (საიდ. N78873/03) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ

რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.



კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი (საიდ.

**КОРОВКА**  
N78873/03, IR 1216610) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი **KOROVKA**  
(IR 844698), აღრევამდე მსგავსია, როგორც ვიზუალურად და ფონეტიკურად ისე, სემანტიკური თვალსაზრისით. მართალია, განცხადებული ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ ნიშანს და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად „KORIVKA ROSHEN“, შეიცავს ძროხის გამოსახულებას, მაგრამ ნიშანში დომინანტი ელემენტია სიტყვიერი ნაწილი „KORIVKA“, რომელიც დატანილია ძროხის გამოსახულების ქვემოთ, წითლად ყვითელ ფონზე. რაც შეეხება, სიტყვიერ აღნიშვნას „ROSHEN“ იგი დატანილია ყვითელ ფონზე ყვითლად, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნიშანი მომხმარებლის ყურადღებას იქცევს ყვითელ ფონზე წითლად დატანილი სიტყვიერი ნაწილით „KORIVKA“ და სწორედ აღნიშნულ სიტყვიერ ნაწილზე მოდის ნიშნის განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, იგი წარმოადგენს სიტყვიერ ნიშანს „КОРОВКА KOROVKA“. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან განცხადებული ნიშნის დომინანტი ელემენტს - „KORIVKA“ და დაპირისპირებულ ნიშანს - „KOROVKA“ შორის განსხვავებას მხოლოდ ერთი ასო წარმოადგენს, რაც ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „კორივკა როშენ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი - „კოროვკა“.

ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, ვინაიდან ორივე ნიშანი უკრაინულ და რუსულ ენებზე აღნიშნავს „პატარა ძროხას“.

რაც შეეხება, აპელანტის პოზიციას, იმისთან დაკავშირებით, რომ ტერმინი „KOROVKA“ ირისის კანფეტისათვის იქცა გვარეობით ცნებად, კოლეგიას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც არსებობს უფრო ადრინდელი პრიორიტეტით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, საქპატენტის სააპელაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს რეგისტრირებული ნიშნის „KORIVKA“ კანფეტისათვის გვარეობით ცნებად დამკვიდრების ფაქტზე. აღნიშნული საფუძვლით რეგისტრირებული ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KORIVKA ROSHEN“ (საიდ. N78873/03, IR 1216610) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის კომპანიის დოჩირნიე პიდპრიემსტვო კონდიტერსკა კორპორაციის „როშენ“ (Dochirnie pidpriemstvo Kondyterska korporatsiia "Roshen") სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული



აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 13 აგვისტოს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №2452/03 ბრძანება.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე